ხელშეკრულება №01-24/79
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 11 მაისი 2012 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბონდი-2009“ (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №100) (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულება შიგამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელი –ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს მიაწოდოს შემსყიდველს 16მ^3 ღორღი №20 (შემდგომში „საქონელი“) (CPV 14200000 - ქვიშა და თიხა).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 400,00 (ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. ერთი მ^3 ღორღი №20 ღირებულებაა 25,00 (ოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
3.3 შესყიდვა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით.

4. მიწოდების ვადა და ადგილი:

4.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 21 მაისის ჩათვლით.
4.2 მოწოდების ადგილი: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მიერ საქონლის ჩაბარება მოხდება მხარეებს შორის მიღება - ჩაბარების აქტის

გაფორმების საფუძველზე.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს აგრო-ინჟინერი ნოდარ ბოლქვაძე, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორება

6.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს აგრო-ინჟინერი ნოდარ ბოლქვაძე.
7.3. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს, საქონლის მიღება-ჩაბარებას და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირებას.
7.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების (ღირებულების) 0,5%–ის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე.
11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და საქონლის დაგვიანებით მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე

მეტი ოდენობით გაზრდა.

10 ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმგებლობით დადგენილ სხვა შემთხვებში. აღნიშნულის თაობაზე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 5 დღით ადრე.
10.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედაბს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"	შპს „ბონდი-2009"
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა	მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №100
ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22	ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE78BG0000000886744500 ს/კ 445399391	ა/ა GE71BG0000000136676800 ს/კ 245626470
დირექტორი	დირექტორი
როინ დიასამიძე	მამუკა დოლიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 11.05.2012 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის'' მიერ 16$მ^3$ ღორღის №20 (CPV 14200000 - ქვიშა და თიხა) შესყიდვის განხორციელებაში, შპს. „ბონდი–2009"–ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის''

დირექტორი როინ დიასამიძე